



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების
მონიტორინგი

შუალედური ანგარიში

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითადი შედეგები	3
„რადიო 1“	4
რადიო „მაესტრო“	5
„პირველი რადიო“	7
რადიო „თავისუფლება“	8
რადიო „პალიტრა“	9
რადიო „იმედი“	10
რადიო „პერეტი“	12
რადიო „სამხრეთის კარიბჭე“	13
რადიო „მარნეული“	14
რადიო „ძველი ქალაქი“	15
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	17
დასკვნა	18

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“- ფარგლებში, რადიომაუწყებლების სადამოს საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდება. მონიტორინგი 2020 წლის 16 ივნისს დაიწყო.

დაკვირვება ხორციელდება 10 რადიომაუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებებზე. ეს რადიოებია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „თავისუფლება“, „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ჰერეთი“, „მარნეული“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი). თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე, პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და საარჩევნო ადმინისტრაცია.

მონიტორინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა შეიძლება შეიცვალოს პარტია, ხოლო პოლიტიკური პარტიები შეიძლება გაერთიანდნენ ან გამოეყონ რაიმე კოალიციას/ბლოკს, ან დარეგისტრირდნენ სხვა სახელით.

მონიტორინგი უტარდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებს, არამედ ყველა სიუჟეტს, სადაც საუბარია მონიტორინგის სუბიექტებზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 15 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგებს.

15 ივნისი - 31 აგვისტოს პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- ყველაზე მეტი დრო მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო, პარტიებიდან კი - „ქართულ ოცნებას“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“;
- წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად მოიმატა ირიბი გაშუქების წილი. ახალი ამბების უმეტეს ნაწილს პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებების ციტირება შეადგენდა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების კონტენტი მშრალი და ზედაპირული იყო;
- თემების აქტუალურობას კვლავაც პოლიტიკოსთა განცხადებები განსაზღვრავდნენ და არა ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია;
- წინა წლების მსგავსად, რადიოარხების უმეტესობაზე, პრობლემად რჩება ინფორმაციის წყაროთა და კრიტიკული კითხვების ნაკლებობა - ჟურნალისტები ფაქტების გადამოწმებას ნაკლებად ცდილობდნენ;
- სოციალურ თემებს, რეგიონებისა და უმცირესობების პრობლემებს კვლავაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა;
- რადიომაუწყებლები გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ხელს არ უწყობდნენ, ეთერში არ ისმოდა სექსისტური, ჰომოფობიური, რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები;
- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები უხეშად არ ირღვეოდა: ხმით/მუსიკით მანიპულაციის, სიძულვილის ენის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„რადიო 1“

საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებები, წინა წლების მსგავსად, მშრალი და ზედაპირული იყო. მოლოდინი, რომ ჟურნალისტები უფრო სიღრმისეულად გააშუქებდნენ მოვლენებს, სოციალურ თემატიკას ან უმცირესობების პრობლემებს სხვა რადიომაუწყებლებზე მეტად მიაქცევდნენ ყურადღებას, არ გამართლდა.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 44 წუთი დაეთმო, საიდანაც დროის 22-22% მთავრობაზე და „ქართულ ოცნებაზე“, 12% კი პრემიერ-მინისტრზე გადანაწილდა. თანაბარი დროით გაშუქდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებებს, უმეტესად (საშუალოდ, 90%), თავად ციტირებდნენ.


„რადიო 1“ მოვლენებს, ძირითადად, დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა, თუმცა კრიტიკული კითხვების ნაკლებობა ისევ პრობლემად დარჩა. ახალი ამბები მშრალად და ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები ხელისუფლების და პოლიტიკოსების აქტივობების მიმართ მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ. ახალი ამბების გამოშვებები არც თემების მრავალფეროვნებით და არც სიღრმისეული გაშუქებით გამოირჩეოდა.

მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მსმენელს უფრო ხარისხიანი ინფორმაცია მიაწოდოს: არ შემოიფარგლოს მხოლოდ პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების და იქ გაჟღერებული დაპირებების გაშუქებით. აუცილებელია, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებსა თუ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე საარჩევნო კონტექსტში სიუჟეტები მომზადდეს, რაც მოსახლეობას მათთვის მნიშვნელოვან თემებზე პოლიტიკოსთა შეხედულებების გაგებასა და შესაბამისად, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო 1 (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „მაცესტრო“

რადიო „მაცესტრო“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, რაც საშუალებას იძლეოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, მათ შორის პოლიტიკური პროცესები სიღრმისეულად გაშუქებულიყო. თუმცა, ეთერში გასული ინფორმაცია სხვა რადიომაუწყებლების ახალი ამბებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 10 საათი და 37 წუთი დაეთმო. ამ დროის 23% „ქართული ოცნების“, 16% პრემიერ-მინისტრის, ხოლო 15% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა.

საათზე მეტი დრო ასევე დაეთმოთ „ევროპულ საქართველოსა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დროის, საშუალოდ, 50% ეთმობოდათ. მათი გაშუქების ტონი კი, დიდწილად, ნეიტრალური იყო.

რადიო „მაესტრო“ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და ცალკეული პარტიების აქტივობებს ინტენსიურად აშუქებდა, თუმცა სიუჟეტები, ძირითადად, ფაქტების მშრალი კონსტატაციით შემოიფარგლებოდა. ვრცელი ქრონომეტრაჟის მიუხედავად, ახალი ამბები პოლიტიკოსთა ზოგად განცხადებებს ეფუძნებოდა. ეთერში ხშირად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკა, რაც ოპოზიციის განცხადებებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე მოვლენების სიღრმისეული ან ანალიტიკური გაშუქებით. ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ და ნაკლებად სვამდნენ მწვავე კითხვებს.

რადიომაუწყებლის ახალი ამბების გამოშვებები, ძირითადად, დაბალანსებული იყო, თუმცა ცალკეულ სიუჟეტებში ბალანსის პრობლემაც გამოიკვეთა. მაგალითად, სიუჟეტებში, რომლებიც ამომრჩევლის მოსყიდვასა და ანონიმურობის დარღვევასთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამკაცრებას შეეხებოდა, ცვლილების ინიციატორის, მმართველი გუნდის მიმართ გაჟღერებული სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის 5-6 კრიტიკული განცხადების და ბრალდების საპასუხოდ მხოლოდ ერთი მოკლე კომენტარი კეთდებოდა.


რადიოარხის მუშაობის ხარისხი უფრო გაიზრდება, თუ წინასაარჩევნო პროცესების აქტიურ ფაზაში გადასვლასთან ერთად, ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების მიმართ მეტ ინტერესს გამოიჩენენ და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებსა და რეგიონებში არსებულ პრობლემებს მეტ ყურადღებას დაუთმობენ.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "მაესტრო"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



„პირველი რადიო“

„პირველი რადიო“ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად, მაგრამ ზედაპირულად აშუქებდა. რადიომაუწყებელი დაბალანსებულ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, თუმცა ვრცელი ქრონომეტრაჟის მიუხედავად, მათ სიღრმისეულობა აკლდა, ხოლო თემატიკა სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს 8 საათი და 4 წუთი დაეთმო. ამ დროის 32% „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაშუქდა, 13-13% დაეთმოთ მთავრობას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“. სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 45% პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ „ქართული ოცნება“ და მთავრობა, რომელთა გაშუქების 70% ირიბ საუბარზე მოდიოდა. მთლიანობაში, ოპოზიციას პირდაპირი საუბრისთვის უფრო მეტი დრო ეძლეოდა, ვიდრე ხელისუფლებას, რამაც მმართველი გუნდის უარყოფითი ტონი გაზარდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ხელისუფლების და ოპოზიციის მისამართით კრიტიკა ხშირად ისმოდა. თუმცა, ეს უმეტესად, ერთმანეთის მიმართ კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტების ხმა იყო და არა ჟურნალისტების მწვავე კითხვები, რაც მსმენელს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან სიმართლის დადგენაში ხელს შეუწყობდა. ახალი ამბები მეტწილად დაბალანსებული იყო. თუმცა, ჟურნალისტები ფაქტების გადამოწმებასა და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ნაკლებად ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა მაუწყებელი საარჩევნო თემებს, მათ შორის წინასაარჩევნო შეხვედრებსაც აქტიურად აშუქებდა, თუმცა, სხვა ამბების მსგავსად, საარჩევნო თემებიც მშრალად და ზედაპირულად შუქდებოდა.


დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ეთერში გასული სინქრონი ისე სრულდებოდა, რომ რესპონდენტს სათქმელი ჩამოყალიბებული არ ჰქონდა - სინქრონების მოჭრის დროს ჟურნალისტებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ხშირ შემთხვევებში კი წამყვანი არ ასახელებდა რესპონდენტის ვინაობას, ან ეთერში იმაზე მეტი სინქრონი გადიოდა, ვიდრე წარადგინეს. ამის გამო მსმენელს ინფორმაცია სრულყოფილად არ მიეწოდებოდა; ასევე, ვერ ხერხდებოდა რესპონდენტების იდენტიფიკაცია და მათი მონიტორინგის კონკრეტული სუბიექტისთვის მიკუთვნება. ამიტომ, ისინი კვლევის მიღმა რჩებოდნენ.

„პირველი რადიოს“ ჟურნალისტები ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. თუმცა, ექსკლუზიური მასალები, რეგიონებისა და სოციალურ თემატიკაზე ყურადღების გამახვილება გადაცემებს უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდიდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

"პირველი რადიო"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლება“ დღის მთავარ ამბებს მოკლედ აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებების დროის უმეტესი ნაწილი რეგიონებში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებს ეთმობოდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემები მოეძებნათ და გაეშუქებინათ. ამიტომ მათი კონტენტი სხვა რადიომაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 10 საათი და 40 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტად გაშუქდნენ მთავრობა (27%) და ადგილობრივი მთავრობა (20%). პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნებას“ (18%) დაეთმო, მას მოჰყვებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (8%) და „ევროპული საქართველო“ (5%). სუბიექტები დროის, საშუალოდ, 85% ირიბად შუქდებოდნენ. სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო და მოვლენები მიუკერძოებლად შუქდებოდა. ჟურნალისტები სვამდნენ მწვავე კითხვებს და ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდებოდნენ. ახალი ამბები წყაროთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ეთერში ხშირად ისმოდა სპეციალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებები.

რადიომაუწყებელი ისეთ აქტუალურ თემებს აშუქებდა, რომლებიც სხვა მაუწყებლების ეთერში იშვიათად ხვდებოდა. ჟურნალისტები ინტერესდებოდნენ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებითა და საპროტესტო აქციებით, კორონავირუსის შედეგად რეგიონებში შექმნილი ვითარებით, ტურიზმის სექტორის გამოწვევებით; სიღრმისეულად შუქდებოდა საოკუპაციო ხაზთან არსებული მწვავე მდგომარეობა, მოქალაქეების გატაცების ფაქტები და ბორდერიზაციის პროცესი;


საინტერესო სიუჟეტები მომზადდა საარჩევნო თემატიკაზე: სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის შეუსრულებელი დაპირებები, დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა რეგიონებში; მერების, საკრებულოს თავმჯდომარეებისა და მაღალი თანამდებობის პირთა ყოფნა მმართველი გუნდის პარტიულ სამსახურში. მსგავსი ტიპის მრავალფეროვანი და სიღრმისეული გაშუქება, ამომრჩეველს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში მეტად დაეხმარება.

თუმცა, გამოვლინდა საეთერო დროს არაეფექტურად გამოყენების შემთხვევები: საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ხშირად განმეორებით ან მცირედი ცვლილებებით, რომლებიც შინაარსზე გავლენას არ ახდენდა, გადიოდა. მაგალითად, 28 აგვისტოს ეთერში გასული სამი სიუჟეტიდან, ორი ძველი იყო და მსმენელს ახალს არაფერს ეუბნებოდა. უმჯობესი იქნებოდა, რადიომაუწყებელს ეს დრო არა უკვე გაშუქებული, არამედ ახალი ამბებისთვის დაეთმო.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "თავისუფლება"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრა“ მოვლენებს მშრალად და ზედაპირულად აშუქებდა. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, თუმცა არც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ და არც ექსკლუზიურ სიუჟეტებს ამზადებდნენ. ამ კუთხით, **2018** წლის შემდეგ, რადიომაუწყებელის საინფორმაციო გადაცემის ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, ძირითადი ტენდენციები და პრობლემები წინა წლების მსგავსია.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 7 საათი და 23 წუთი დაეთმო. ამ დროის უმეტესი ნაწილი ხელისუფლებას დაუგროვდა: 27% „ქართულ ოცნებას“, 21% - მთავრობას, ხოლო 14%

- პრემიერ-მინისტრს. ჟურნალისტები ხელისუფლების აქტივობების მიმართ კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ, თუმცა არც ოპოზიციის კრიტიკული შეფასებების გაშუქებას ერიდებოდნენ. ამიტომაც, მმართველ გუნდს უარყოფითი ტონიც დაუგროვდა, თუმცა ჯამში ხელისუფლება უფრო დადებითად გაშუქდა, ვიდრე - უარყოფითად.


არხის მთავარ პრობლემად ჟურნალისტების პასიურობა გამოიკვეთა, ეთერში არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ დამატებითი მასალების მოძიებითა და პროაქტიული მუშაობით, მსმენელს სიმართლის დადგენაში დახმარებოდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ რადიომაუწყებელმა ეთერში გასული ინფორმაცია სპეციალისტების შეფასებებით, სტატისტიკით, არქივებითა თუ დამატებითი წყაროებით გაამდიდროს. ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით და ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქებით, ჟურნალისტები შეძლებდნენ, პოლიტიკოსების უსაგნო და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს, კონტრარგუმენტებით და მწვავე კითხვებით დაპირისპირებოდნენ.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "პალიტრა"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ მოვლენებს მოკლედ და ზედაპირულად გადმოსცემდა. რადიომაუწყებელზე მმართველი პარტიის დადებითად წარმოჩენის ტენდენცია შეინიშნებოდა: ჟურნალისტები ერთი მხრივ „ქართული ოცნების“ კრიტიკას ერიდებოდნენ და ნეგატიურ შეფასებებს დროს არ უთმობდნენ; მეორე მხრივ, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე აშუქებდნენ მმართველი გუნდის განცხადებებს, პროექტებსა და აქტივობებს.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 41 წუთი დაეთმო. ამ დროის 86% სახელისუფლებო სუბიექტებზე მოდიოდა: 30% - „ქართულ ოცნებაზე“, 27% - მთავრობასა და 18% - პრემიერ-მინისტრზე. რადიომსმელთა უმეტესობა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიას, მათ კანდიდატებს და დაპირებებს აქტიურად აშუქებდა. მმართველი გუნდის წარმომადგენლები ხშირად დადებით კონტექსტში შუქდებოდნენ, მაშინ როდესაც ოპოზიციას მცირე დრო ეთმობოდა და მათ მიმართ კრიტიკული შეფასებებიც უფრო ხშირად ისმოდა.

გასული წლების მედიამონიტორინგის ანგარიშებიც მიუთითებს, რომ რადიო „იმედის“ ეთერში ბალანსი ხშირად მმართველი გუნდის სასარგებლოდ იხრებოდა. თუმცა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, სიტუაცია მკვეთრად გაუარესებულია - „იმედი“ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იმეორებდა „ქართული ოცნების“ მესიჯებს, ხელისუფლების აქტივობების მიმართ მწვავე კითხვებს არ სვამდა და არც ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ ნეგატიურ კომენტარებს აშუქებდა.


მაგალითად, 30 ივლისს მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა ამერიკელი კონგრესმენების გამოგზავნილი წერილი იყო, სადაც ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად იყო მოხსენიებული. თუმცა, ახალი ამბის გაშუქებისას «იმედმა» ეს და სხვა კრიტიკული შეფასებები გამოტოვა და სანაცვლოდ აღნიშნა, რომ წერილში მმართველი გუნდის წევრებმა ფაქტობრივი უზუსტობები აღმოაჩინეს (რამი მდგომარეობდა უზუსტობა არ გაუშუქებიათ). მსგავსი ტიპის სიუჟეტები გამონაკლისი არ არის.

წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანია, რომ მედია რომელიმე პოლიტიკური ძალის PR სამსახურს არ დაემსგავსოს. აუცილებელია „იმედის“ ჟურნალისტიკმა მწვავე კითხვები დასვან და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით იმუშაონ: დაიცვან ბალანსი, გადაამოწმონ ფაქტები და იზრუნონ სიმართლის დადგენისთვის.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "იმედი"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „ჰერეთი“

რადიო „ჰერეთი“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. რადიომაუწყებელი სოფლებისა და პატარა ქალაქების პრობლემებით ხშირად ინტერესდებოდა და ეთერში თითქმის ყველა რეგიონის ხმა ისმოდა. ჟურნალისტები სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და ექსკლუზიურ სიუჟეტებსაც ამზადებენ. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ცალკე აღებული სიუჟეტები ნაკლებად ანალიტიკური და დაბალანსებული იყო.


მონიტორინგის სუბიექტებს 7 საათი და 40 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად „ქართული ოცნება“ (34%), მთავრობა (13%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) და „ევროპული საქართველო“ (10%) შუქდებოდნენ. პირდაპირი საუბრისთვის ოპოზიციურ პარტიებს გაცილებით მეტი დრო ეთმობოდათ (საშუალოდ, 72%), ვიდრე მმართველ პარტიას (საშუალოდ, 22%), რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ სიუჟეტებში ბალანსის პრობლემა იყო და მმართველ გუნდს კრიტიკაზე პასუხის საშუალება ყოველთვის არ ეძლეოდა. შედეგად, „ქართული ოცნების“ უარყოფითად გაშუქების მაჩვენებელმა 60%-ს მიაღწია.

ეთერში მმართველი გუნდის მწვავე კრიტიკა სჭარბობდა, თუმცა ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მკვეთრად მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. ხელისუფლების აქტივობების მიმართ კითხვის ნიშნების დასმა მედიის მოვალეობაა და მისასაღმებელია, რომ „ჰერეთი“ კრიტიკულ დამოკიდებულებას წლების განმავლობაში ინარჩუნებს. თუმცა, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ქუჩის გამოკითხვებსა თუ პოლიტიკოსთა სუბიექტურ შეფასებებზე დაფუძნებული კრიტიკის წილი. სასურველია, რომ ჟურნალისტებმა მსგავსი სიუჟეტები დამატებითი მასალებით, სპეციალისტების შეფასებებითა და ემპირიული მონაცემებით გაამაყრონ; ამასთან, მეტი დრო დაუთმონ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ოპონენტების კრიტიკას უპასუხო.

მთლიანობაში, „ჰერეთი“ კვლევაც რჩება ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულ, მრავალფეროვან და მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების მიმართ სენსიტიურ მაუწყებლად. თუმცა, წლების განმავლობაში დაგროვილი დადებითი ტენდენცია, „ჰერეთის“ მიმართ მოლოდინებს ზრდის: რადიომაუწყებელს უნდა ჰქონდეს ამბიციაც, რომ მსმენელს უფრო მაღალი ხარისხის, მეტად ანალიტიკურ და ფაქტებზე დაფუძნებულ ჟურნალისტურ პროდუქტს შესთავაზებს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "ჰერეთი"
15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე)

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ მოკლე საინფორმაციო გადაცემებს ამზადებდა, სადაც, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს მიმოიხილავდნენ. ახალი ამბები მშრალი და ზედაპირული იყო, არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ ფაქტები გადაემოწმებინათ, დამატებითი მასალები მოეძიებინათ და მსმენელისთვის რეგიონში განვითარებულ პროცესებზე სიღრმისეული, მრავალფეროვანი და საინტერესო მედიაპროდუქტი შეეთავაზებინათ.

მონიტორინგის სუბიექტებს სულ საათი და 7 წუთი დაეთმოთ, საიდანაც ყველაზე ხშირად ადგილობრივ მთავრობაზე (38%), მთავრობაზე (24%), „ქართულ ოცნებასა“ (9%) და პრემიერ-მინისტრზე (8%) საუბრობდნენ. ჟურნალისტები კომენტარებს ციტირებდნენ, რესპონდენტების პირდაპირ საუბარს დრო არ დათმობია. ჟურნალისტები მიკერძოებულ და სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა არც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ, რითიც პოლიტიკოსებს საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენას უადვილებდნენ. ამაზე მიუთითებს, პრემიერ-მინისტრის 95%-იანი და მთავრობის 38%-იანი დადებითი ტონის მაჩვენებლებიც.


აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მოვლენები ცენტრალური თუ სხვა რეგიონული მედიამაუწყებლების ყურადღებას იპყრობდა: დღის მთავარი თემები იყო ახალქალაქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის, ენზელ მკოიანის, ცეცხლსასროლი იარაღით გამოჩენა, შემდგომ დღეებში კი ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობა და საპასუხოდ გადაძვარი სახლები. თუმცა, „სამხრეთის კარიბჭე“ ვერ ახერხებდა, რომ მათ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ექსკლუზიური ან დამატებითი მასალები მოეპოვებინათ: მათ, როგორც ადგილობრივ მაუწყებელს, სცოდნოდათ მეტი, ვიდრე სხვა რადიომაუწყებლებს.

მნიშვნელოვანია, რომ რეგიონულ რადიომაუწყებლებს ჰქონდეთ ამბიცია, რომ მათ რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ მთავარი ინფორმაციის წყაროდ ჩამოყალიბდნენ. ამასთან, ეთერში ხშირად ტექნიკური ხარვეზებიც იყო, რაც საინფორმაციო გამოშვების მოსმენასა და ინფორმაციის აღქმას ართულებდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "სამხრეთის კარიბჭე"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 20120



რადიო „მარნეული“

რადიო „მარნეულის“ ორენოვან (ქართულ-აზერბაიჯანული) საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ქვემო ქართლში განვითარებული მოვლენები შუქდებოდა, თუმცა დრო ცენტრალურ ახალ ამბებსაც ეთმობოდა. ჟურნალისტები მოვლენებს დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 1 საათი და 45 წუთი დაეთმო. ამ დროის 46% ადგილობრივი მთავრობის აქტივობები გაშუქდა, 18% - „ქართული ოცნება“, ხოლო 17% - მთავრობა. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 90% ირიბ საუბარზე მოდიოდა, ხოლო გაშუქების ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო.


რადიო „მარნეული“ ქვემო ქართლში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ჟურნალისტები მიუკერძოებლად მუშაობდნენ, სიუჟეტები უმეტესწილად, დაბალანსებული იყო, შუქდებოდა სხვადასხვა მხარეების პოზიციები. ადგილობრივი პრობლემების გაშუქებისას იგრძნობოდა ხელისუფლების საქმიანობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. ჟურნალისტები ცდილობდნენ მასალა სხვადასხვა საკითხზე მომეზადებინათ და პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებელი პირებისგან პასუხი მოეთხოვათ. მაგალითად, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია და მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა კონკრეტულად რომელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაფინანსდა.

ჟურნალისტები ერთხელ გაშუქებულ თემებს შემდგომშიც უბრუნდებოდნენ და ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ბოლომდე მიჰყვოდნენ. ამ კუთხით, რადიომაუწყებლის ეთერში დადებითი ტენდენციები შეინიშნება, რაც საჭიროა წინასაარჩევნო პერიოდშიც შენარჩუნდეს და გაძლიერდეს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "მარნეული"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „ძველი ქალაქი“, ძირითადად, იმერეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. თუმცა, დრო მნიშვნელოვან ცენტრალურ სიახლეებსაც ეთმობოდა. მაუწყებელი ახალ ამბებს მოკლედ და ზედაპირულად გადმოსცემდა. ცალკეულ შემთხვევებში ისინი დაუბალანსებელი იყო და მხარეთა პოზიციებს არ წარმოაჩენდა.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი დაეთმო. ყველაზე მეტად გაშუქდნენ: მთავრობა (35%), ადგილობრივი მთავრობა (22%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%). ახალი ამბების გაშუქების დროს წამყვანი რესპონდენტებს, მეტწილად, ციტირებდა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ გაშუქებას ძალიან ცოტა დრო დაეთმო.

ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ. „ქართული ოცნების“ მაღალი (40%) უარყოფითი ტონი მათი ოპონენტების განცხადებებმა განაპირობა. ზოგ შემთხვევაში მმართველი გუნდის მიმართ გამოთქმული კრიტიკა და ბრალდებები ცალმხრივად შუქდებოდა, რადგან ჟურნალისტები კრიტიკის ობიექტის საპასუხო კომენტარით არ ინტერესდებოდნენ.


მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ჯერ ოფიციალურად არ დაწყებულა, რამდენიმე პარტიამ იმერეთის რეგიონში მაჟორიტარი კანდიდატები უკვე წარადგინა. მაუწყებელმა მათი წარდგენა მოკლედ გააშუქა. სასურველია, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ახალი ამბების გამოშვებებში მსმენელს კანდიდატების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდონ. რეგიონის მოსახლეობისთვის მსგავსი ტიპის ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სხვა მაუწყებლები, მათ კანდიდატებზე, სავარაუდოდ, ნაკლებად ისაუბრებენ.

„ძველი ქალაქის“ მსმენელს საშუალება ჰქონდა რეგიონში მიმდინარე სხვადასხვა საპროტესტო აქციის, ინფრასტრუქტურული პროექტების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებაც მიეღო ინფორმაცია. თუმცა, მაუწყებელი ნაკლებად ახერხებდა ახალი ამბებისთვის საინტერესო თემებისა და ექსკლუზიური მასალების მოძიებას. ამიტომაც, მთავარ გამოწვევად მოვლენების სიღრმისეული და მრავალფეროვანი გაშუქება რჩება.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "მგელი ქალაქი"

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020




გენდერულად სენსიტიური გაშუქება

პროექტის ფარგლებში დაკვირვების ქვეშ მყოფ რადიომაუწყებლებში საარჩევნო თემების მონიტორინგისას დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომელიც აძლიერებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს.

ქალი პოლიტიკოსების და ქალი კანდიდატების გაშუქებას რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებებში ცოტა დრო ეთმობოდა.

რადიომაუწყებლების ეთერში სუბიექტების გაშუქება
სქესის მიხედვით (%)
15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020



გენდერული თანასწორობის გაშუქების მონიტორინგის მიზანი ისეთი შემთხვევების გამოვლენა იყო, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებენ.

მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებლები გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ხელს არ უწყობდნენ. ეთერში არ ისმოდა სექსისტური, ჰომოფობიური და რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები. ჟურნალისტები, სხვადასხვა თემების გაშუქებისას ვერ ახერხებდნენ, რომ გენდერული საკითხები წინ წამოეწიათ.

დასკვნა

რადიომაუწყებლები ექსკლუზიურ კონტენტს ვერ ქმნიან, მათი უმეტესობის ეთერში ერთი და იგივე თემები ტრიალებდა.

არხების უმეტესობა რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ავლენდა, ახალი ამბების გაშუქებისას ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. სიახლეები დაბალანსებულად, თუმცა მშრალად და ზედაპირულად შუქდებოდა.

რადიომაუწყებლების ნაწილი ხელისუფლების მწვავე კრიტიკასაც არ ერიდებოდა და სიუჟეტებში პოლიტიკოსთა ურთიერთსაპირისპირო კომენტარებიც ისმოდა, მაგრამ მათი უმეტესობა რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებას არ ცდილობდა, არ ჩანდა ჟურნალისტის როლი, რომ კრიტიკა მის მიერ მოპოვებულ ფაქტობრივ მასალებს დაფუძნებოდა და არა პოლიტიკოსთა ზოგად შეფასებებს. მაგალითად, გაზრდილი კრიმინალის ან მოხშირებული ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ შესაძლოა ათობით სიუჟეტი ისე მომზადებულყო, რომ ჟურნალისტებს საერთოდ არ ეცადათ სტატისტიკის მოშველიება, რათა დაედგინათ მართლა გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა კრიმინალი და ავარიები. სიუჟეტები რესპონდენტთა შეფასებებზე იყო აწყობილი და მსმენელს არ უტოვებდა საშუალებას, რომ ცალსახა უზუსტობები შეემჩნიათ და ფაქტებზე დაყრდნობით დასკვნები თავად გამოეტანათ.

რადიომაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებების მთავარ პრობლემად მოვლენების პასიური გაშუქება რჩება: პოლიტიკოსებს ხშირად შესაძლებლობა ეძლევათ, რადიოეთერი საკუთარ ტრიბუნად გამოიყენონ და არ შეეშინდებათ, რომ კარგად მომზადებული ჟურნალისტი საპასუხო მწვავე კითხვას შეაგებებს.

გამოწვევად რჩება, რეგიონების, სოფლების, სოციალური პრობლემების, უთანასწორობისა თუ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გაშუქებაც. ამ თემებზე სიუჟეტები თითქმის არ მზადდება. მართალია, რადიომაუწყებლები სიმულვილის ენას არ იყენებენ და არც რომელიმე ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა, მაგრამ ჟურნალისტები იმასაც ვერ ახერხებენ, რომ პრობლემები წინ წამოწიონ და პოლიტიკოსთა დღის წესრიგში დააყენონ, პასუხისმგებელი პირების მიმართ დასვან კითხვები, ეცადონ ამომწურავი პასუხების მიღებას, ფაქტების გადამოწმებასა და რაც მთავარია, თემის ბოლომდე მიყოლას.

